გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 000000.001

საკრედიტო მომსახურების შესახებ

საქართველო. ქ. თბილისი 00.00.2024წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი:

1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	**სს „პაშა ბანკი საქართველო“**
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	404433671
1.1.3.	რეგისტრაციის ფორმა:	კომერციული ბანკი
1.1.4.	იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ
1.1.5.	ფაქტობრივი მისამართი:	
1.1.6.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.7.	წარმომადგენლობა:	მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი --; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი --.
1.1.8.	ტელეფონი:	+ 995 (322) 265 000
1.1.9.	ელ.ფოსტა:	Business@pashabank.ge

1.2. მსესხებელი:

1.2.1.	სახელი, გვარი/საფირმო სახელწოდება:	
1.2.2.	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3.	იურიდიული მისამართი:	
1.2.4.	ფაქტობრივი მისამართი:	
1.2.5.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.6.	წარმომადგენლობა:	
1.2.7.	ტელეფონი:	
1.2.8.	ელ.ფოსტა:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ამ გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად, ბანკი იღებს ვალდებულებას, განიხილოს მსესხებლის/მსესხებლების მოთხოვნები **საბანკო პროდუქტებით: საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, დოკუმენტალური ოპერაციები (დოკუმენტალური აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია და სხვა დოკუმენტალური ოპერაციები), ფაქტორინგი** სარგებლობის უფლების მინიჭების თობაზე.

2.2. მსესხებელი იღებს ვალდებულებას სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.3. „დაკავშირებულ ხელშეკრულებებში“ (შემდგომში „დაკავშირებული ხელშეკრულებები“) იგულისხმება გენერალური (ძირითადი) ხელშეკრულების საფუძველზე და მის ფარგლებში გაფორმებული (ან გასაფორმებელი) საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებები, ნებისმიერი სხვა გარიგება ან დოკუმენტი, რომელთა გაფორმება გათვალისწინებულია გენერალური ხელშეკრულებით ან ხორციელდება მის საფუძველზე ან/და მისი აღსრულების მიზნით.

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი **საკრედიტო მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში - გენერალური ხელშეკრულება)** მოქმედების პერიოდში მსესხებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად და არაერთგზის ისარგებლოს საბანკო პროდუქტებით ზღვრული თანხის ფარგლებში იმგვარად, რომ ათვისებული ან ასათვისებელი ფულადი სახსრების ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობას და ამავდროულად ითვალისწინებდეს მსესხებლის მიერ ათვისებული ფულადი სახსრების დაფარვას გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.

ბანკი მსესხებელი

3. გენერალური ხელშეკრულების საბაზისო პირობები

3.1 გენერალური ხელშეკრულების ამოქმედების თარიღი:	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი
3.2 გენერალური ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	20 (ოცი) წელი
3.3 ზღვრული თანხა (ლიმიტი):	10000000 (ათი მილიონი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.
3.4 წლიური საპროცენტო განაკვეთი:	მაქსიმუმ 48 (ორმოცდარვა) პროცენტამდე ოდენობით.

3.5. ,,ზღვრულ თანხა"-ში იგულისხმება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს აღებული ძირითად ვალდებულებათა ერთობლიობა, დასარიცხი საპროცენტო სარგებლის, საბანკო გარანტიისათვის საზღაურის და ჯარიმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუთვალისწინებლად. საბანკო პროდუქტის ოდენობა მისი გაცემის დღეს არ უნდა აღემატებოდეს ზღვრული თანხის აუთვისებელ ნაწილს. საბანკო პროდუქტების გაცემის შემდეგ სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილების გამო მსესხებელზე დადგენილი ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება ბანკის მიერ გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული ზღვრული თანხის ლიმიტის დარღვევად.

3.6. თითოეული საბანკო პროდუქტის (შემდგომში საბანკო პროდუქტ(ებ)ი): საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, დოკუმენტალური ოპერაციები (დოკუმენტალური აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია და სხვა დოკუმენტალური ოპერაციები) გაცემა ხდება შესაბამისი კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საბაზისო პირობების გათვალისწინებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ან სხვა დაკავშირებული/დამატებითი ხელშეკრულებით/დოკუმენტით მსესხებელი შეიძლება განისაზღვროს სხვა დასახელებით.

3.7. კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხელშეკრულება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი კრედიტის/პროდუქტის კონკრეტული პირობები, კერძოდ: საბანკო პროდუქტის ოდენობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი, მიზნობრიობა, პირგასამტეხლო, წინსწრებით დაფარვის საკომისიო, დაფარვის გრაფიკი, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, ასევე ბენეფიციარი, უზრუნველყოფილი ვალდებულება, გარანტიით უზრუნველყოფილი თანხა, საზღაურის ოდენობა, საჯარიმო სანქცია და ა.შ.

3.8. თითოეული საბანკო პროდუქტის: სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

3.9. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით.

3.10. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების პირობებით შეიძლება დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი/ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის (მათ შორის რეფინანსირების განაკვეთი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, LIBOR განაკვეთი, TERM SOFR განაკვეთი, ან/და სხვა) გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, ბანკმა ცალმხრივად განსაზღვროს საჯარო ინდექსი, რომლის შესაბამისადაც მოხდება საპროცენტო სარგებლის ფორმირება, რის თაობაზეც შეატყობინებს მსესხებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით.

4. საბანკო პროდუქტებით სარგებლობის დამატებითი პირობები

4.1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბანკი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ან მსესხებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს, გარდა ნარჩენი ძირის დაფარვისა, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:

4.1.1. **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის:** - ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე

ბანკი მსესხებელი

დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში საბანკო პროდუქტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.

4.1.2. **ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის:** - ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა;

4.1.3. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური პროდუქტებისთვის:** - თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა.

4.1.4. ბანკის მიერ მსესხებლისთვის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკომისიოს დაკისრება არ მოხდება შემდეგ შემთხვევებში: თუ: ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი; ბ) საბანკო პროდუქტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს მიერ გაცემული ახალი კრედიტით; გ) საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით; დ) საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის მხრიდან ან/და, არსებობისას, თავდების/სოლიდარული თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ ფინანსური ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი მიზეზით გაუქმდა არსებული ინდექსი და ხდება ინდექსის ჩანაცვლება); დ) კრედიტი იფარება კრედიტის დაფარვის უზრუნველსაყოფად დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში; ე) წინსწრებით იფარება ოვერდრაფტი.

4.2. საბანკო პროდუქტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს საბანკო პროდუქტის რეფინანსირების ფაქტს.

4.3. ბანკს უფლება ექნება მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს საბანკო პროდუქტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.

4.4. ამ გენერალური ხელშეკრულების მიზნებისთვის საბანკო პროდუქტის რეფინანსირებად ჩაითვლება ბანკის გარდა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ გაცემული თანხით ბანკისგან მიღებული საბანკო პროდუქტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირების მეშვეობით.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ:

4.5.1. ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, საბანკო პროდუქტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირაგსამტეხლოს დაკისრების შესახებ;

4.5.2. ბანკის მიერ მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირაგსამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით);

4.5.3. რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს;

4.5.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ხოლო მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებებით (ბანკის მიერ ამ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

4.6. მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხის, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, მიუღებელი სარგებლის), საკომისიოსა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების

ვადამდე შესრულებამდე, მათ შორის სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებამდე, ხოლო საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის შემთხვევაში, მხოლოდ სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებამდე, აღნიშნულის თაობაზე წერილობით მიმართოს ბანკს. ამასთან, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით ან/და ოვერდრაფტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის თანხის ან/და ოვერდრაფტის თანხის მოცულობა არ აღემატება 2000000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში (ბანკისათვის წერილობით მიმართვის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით), ბანკი ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დაფარვას უზრუნველყოფს წერილობით მიმართვის დღეს ან თუ წერილობით მიმართვა განხორციელდა არასამუშაო დროს, არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა უზრუნველყოს წერილობით მიმართვიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

4.7. მსესხებელი ითვალისწინებს, რომ ავტომატურად არ მოხდება წინადებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული კრედიტის ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის (მისი ტიპიდან გამომდინარე) წინსწრებით სრულად დაფარვა, თუ მის ანგარიშზე არის აღნიშნულისათვის საჭირო თანხა და კრედიტის ან/და სხვა ნებისმიერი საფინანსო პროდუქტის (მისი ტიპიდან გამომდინარე) სრულად წინსწრებით დაფარვისათვის, მსესხებელმა უნდა მიმართოს ბანკს წინამდებარე ან/და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

4.8. ბანკი უფლებამოსილია რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, განსაზღვროს საბანკო პროდუქტების და მათ ფარგლებში არსებული გადასახდელების თანმიმდევრობა და რიგითობა, თუ აღნიშნული სხვაგვარად დარეგულირებული არ არის ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით.

5. საბანკო კრედიტების გაცემა და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოება

5.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად თითოეული საბანკო კრედიტის გაცემის და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების საკითხს ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს ცალკე და დამოუკიდებლად წყვეტს მას.

5.2. კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილს მსესხებელი აფიქსირებს ბანკისთვის წერილობითი განაცხადის წარდგენით.

5.3. მსესხებლის განაცხადის ანალიზის მიზნით ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია მსესხებელის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია საკრედიტო პროდუქტის მიზნობრიობის, მსესხებელის საქმიანობის, მსესხებლის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).

5.4. ბანკი უფლებამოსილია:

5.4.1. შესაბამისი შეთანხმების ან/და კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია მსესხებელის შესახებ მესამე პირებისგან მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე;

5.4.2. არ დააკმაყოფილოს მსესხებელის განაცხადი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ უარის მიზეზის განმარტების გარეშე;

6. ვალდებულებების უზრუნველყოფა

6.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული/გასაფორმებელი ნებისმიერი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულება უზრუნველყოფილია ბანკსა და მსესხებლის და/ან მესაკუთრეს შორის გაფორმებული შესაბამისი იპოთეკის და/ან გირავნობის ხელშეკრულებებით და/ან თავდებობით და/ან საბანკო გარანტიით.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებების წინასწარი უზრუნველყოფა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ბანკის მიერ კონკრეტული კრედიტების გასაცემად. თუ მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის დადგენილი.

6.3. უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების შემცირებისას მსესხებელი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს მის წინაშე არსებულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად სხვა ადეკვატური სანივთო ან პიროვნული უზრუნველყოფა (იპოთეკის საგანი, გირავნობის საგანი, სხვა პირის თავდებობა). სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალებების წარმოდგენის შემთხვევაში ბანკი ექსკლუზიურად აირჩევს წარმოდგენილი უზრუნველყოფიდან ერთ-ერთს ან ყველას ერთად.

6.4. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული/გასაფორმებელი ნებისმიერი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, ვადამოსული დავალიანების

ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაში დაუფარაობა (რაც გრძელდება 30 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში), ან ამ გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ბანკს აძლევს იურიდიულ და სახელშეკრულებო საფუძვლებს გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები მსესხებლის ქონებაზე გადახდევინების მისაქცევად და საკრედიტო და საგარანტიო წერილიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველყოფის საშუალებების (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა) ასამოქმედებლად.

6.5. თუ მხარეთა შორის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი კონკრეტული საბანკო პროდუქტით მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მსესხებელი სრულად არ შეასრულებს ვალდებულებებს, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა უზრუნველყოფის საგნებზე. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციით მიღებული თანხები არ იქნება საკმარისი მსესხებლის ვალდებულებების სრულად შესასრულებლად და მსესხებელს რჩება პასუხისმგებლობა დარჩენილ ნაშთზე, ბანკს აქვს უფლება იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე.

7. დოკუმენტების წარდგენა

7.1. საბანკო კრედიტების მისაღებად და დოკუმენტალური ოპერაციების საწარმოებლად მსესხებელი წარმოადგენს ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და სრულ და უტყუარ ინფორმაციას მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკში არსებული წესების შესაბამისად.

7.2. მსესხებლის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დასადებად და შესასრულებლად.

7.3. მსესხებელი ვალდებულია არ დაუმალოს და აცნობოს ბანკს მისაღებ საბანკო კრედიტებთან და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების შესახებ, რასაც შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს ბანკისათვის შესაბამისი რისკების შეფასებისას ან და რამაც შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა მსესხებლის მიერ ბანკისა და ბენეფიციარის (საბანკო გარანტიის შემთხვევაში) წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე.

7.4. ბანკს უფლება აქვს, მსესხებლისაგან მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი როგორც კრედიტის მიზნობრივად გახარჯვის, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად. მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები ბანკს წარუდგინოს მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7.5. ბანკი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მსესხებელს ის ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით მსესხებლის მიერ წინამდებარე გენერალუირ ხელშეკრულების ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებების დარღვევას ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას ადასტურებს, რაც საფრთხეს უქმნის საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას და მისცეს დრო მსესხებელს აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ან უარსაყოფად.

7.6. ბანკისაგან შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მსესხებელმა წერილობით უნდა წარუდგინოს ბანკს შეტყობინებაში მითითებული გარემოებების გამაბათილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, ან დაუდასტუროს ამ გარემოებების არსებობა და, მათი არსებობის მიუხედავად, თავისი გადახდისუნარიანობა და საკრედიტო ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაფარვის შესაძლებლობა. მსესხებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს ბანკისათვის, ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს მსესხებლისაგან კრედიტისა და საპროცენტო სარგებლის 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფარვა.

8. მხარეების განცხადებები და გარანტიები

8.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

8.1.1. უარს არ იტყვის ამ გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს და არ იკისრებს ახალ ვალდებულებებს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;

8.1.2. ამ გენერალური ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

ბანკი მსესხებელი

8.1.3. მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის ყალბი ან/და არასწორი ინფორმაციის/ცნობების მიწოდება საბანკო პროდუქტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ან/და შეღავათიანი საბანკო პროდუქტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი საბანკო პროდუქტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ გენერალური ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად;

8.1.4. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას მსესხებლის ნებისმიერი სახის ანგარიშებიდან მსესხებლის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს მსესხებლის ანგარიშებიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.

8.1.5. დაიცვას კრედიტის (საკრედიტო პროდუქტების) მიზნობრიობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მსესხებელმა უნდა წარუდგინოს ბანკს საბანკო პროდუქტის მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე.

8.1.6. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დადების დღეს მისი ადგილსამყოფელია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;

8.1.7. მსესხებლის წარმომადგენელს აქვს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და მას მიღებული აქვს ამისათვის ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა მსესხებლის შესაბამისი ორგანოებიდან (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრება);

8.1.8. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

8.1.9. ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ იკისროს დამატებითი ფინანსური ვალდებულებები; არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება; არ განახორციელოს საკუთარი მოძრავი ან უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვა, როგორც თავისი, ისე სხვა პირის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, ასევე არ დაუდგეს თავდებად მესამე პირებს.

8.1.10. მსესხებლის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

8.2. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

8.2.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსესხებელისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებელის პერსონალური მონაცემები (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);

8.2.2. სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (მათ შორის მსესხებლის საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, მსესხებლის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

8.2.3. მსესხებლის თავდებს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია მსესხებლის ვალდებულების შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ მსესხებლის ვალდებულების შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების ასლი (მათ შორის, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებისა და ნებისმიერი დანართ(ებ)ის ჩათვლით);

8.2.4. მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივების მართვის მიზნით, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიებს, გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის

ბანკი მსესხებელი

მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

8.2.5. ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს მსესხებლის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და მსესხებელთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

8.2.6. მსესხებლისათვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტების შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მ.შ. მსესხებლის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმოს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

8.2.7. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე: მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირებს: ა) მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ბანკის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ან ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების შეძენით/სინდიცირებით ან/და მსესხებლის ვალდებულებების გადაკისრებით.

8.2.8. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“-ს მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ. ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“-სთვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისათვის და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2.9. სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“ (ს/ნ 204470740) წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს და ის უფლებამოსილია მიღებული ინფორმაცია/პერსონალური მონაცემები დაამუშავოს/გადაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს, პირის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასების, შემოწმების ან/და სხვა კანონიერი მიზნით;

8.2.10. სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოსათვის“ გადასაცემი და მისგან მისაღები ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერების/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, პირის მიერ საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო, საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში - შესაბამის სასამართლო, საარბიტრაჟო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.

8.2.11. მსესხებელს გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მომხმარებლის შესახებ მონაცემები (მათ შორის პერსონალურ

მონაცემები), თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

8.2.12. მსესხებელი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება სს „პაშა ბანკი საქართველოს“ ოფიციალურ https://www.pashabank.ge/ge/privacy-policy ვებ-გვერდზე განთავსებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, მათ შორის და არა მხოლოდ მისი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ და აცხადებს თანხმობას ბანკმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები პოლიტიკაში გაწერილი წესებისა და პირობების შესაბამისად.მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ან/და მსგავსი პროფილის/უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ანგარიშ(ებ)ის გახსნის, ოპერაცი(ებ)ის წარმოების ან/და მომსახურების გაწევის დროს.

8.3. მსესხებელი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს;

8.3.1. მსესხებელი ვალდებულია:

8.3.1.1. უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დაცვა, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეიმუშაოს ამ რისკების კონტროლის სამოქმედო გეგმა (სტრატეგია) და განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების წინააღმდეგ (შესამცირებლად ან/და თავიდან ასაცილებლად) მიმართული ქმედებები ან/და ინვესტიციები;

8.3.1.2. ბანკს აცნობოს ნებისმიერი ინციდენტის ან/და საგანგებო სიტუაციის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი/საზიანო ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, ადამიანების (მაგალითად დასაქმებულების, მეზობლების, მომხმარებლების) ჯანმრთელობაზე ან/და უსაფრთხოებაზე;

8.3.1.3. მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია მსესხებლის მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება ზიანის ანაზღაურებისკენ მოქმედი კანონმდებლობის (შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

8.3.1.4. ბანკს აცნობოს ამ გენერალური ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტებში აღწერილი რომელიმე მოთხოვნის ნებისმიერი დარღვევის შესახებ.

8[1] ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმება.

8[1].1. მსესხებელი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება, მათ შორის სესხის/კრედიტის/საბანკო პროდუქტების ხელშეკრულებები, შეიძლება გაფორმდეს დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების/კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ელექტრონული ხელმოწერის სიგნიფაის (Signify) პლატფორმის ან ბანკის მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის გამოყენებით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.

8[1].2. მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკთან ურთიერთობაში ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ელექტრონულად, მსესხებლის მიერ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის ნომრის გამოყენებით.

8[1].3. მსესხებელი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით და პირადი ხელმოწერით (სველი ხელმოწერით) გაფორმებულ დოკუმენტებს/ხელშეკრულებებს.

8[1].4. მსესხებელი ადასტურებს, რომ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით გაფორმების პროცესში გამოიყენებს მხოლოდ ბანკის მონაცემთა ბაზაში სათანადო წესით რეგისტრირებულ და ავტორიზებულ ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის ნომერს და საკონტაქტო მონაცემებს. არარეგისტრირებული ან/და არა ავტორიზებული მონაცემების გამოყენების ნებისმიერი მცდელობა ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნება არარეგისტრირებული ან/და არაავტორიზებული ელექტრონული ფოსტის და საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებით ან/და გაფორმების მცდელობით.

8.[1].5. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა შეცვალა ან/და დაკარგა წვდომა ელექტრონული ფოსტის მისამართზე/ტელეფონის ნომერზე და არ შეატყობინა ბანკს აღნიშნულის შესახებ, ბანკის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი/ხელშეკრულება ჩაითვლება მსესხებლის მიერ გაფორმებულად და იურიდიული ძალის მქონედ.

8[1].6. დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერების მეშვეობით დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმებისას მსესხებელმა უნდა დაიცვას ბანკის უსაფრთხოებისა და ძლიერი ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესები და გაიაროს შესაბამისი პროცესები.

8[1].7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გაფორმებისას ელექტრონული ფოსტის მისამართის/ტელეფონის, ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (პლატფორმაზე) უნებართვო წვდომაზე ან/და არასწორი გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.

8[1].8. მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი დანაკარგი, ჯარიმა, სანქიცია, ზიანი და ხარჯი (მათ შორის ადვოკატის საფასურის ჩათვლით) და დაიცვას ბანკი ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, სარჩელისგან, პრეტენზიისგან (მათ შორის მესამე პირის პრეტენზიებისგან), რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსესხებლის მიერ დოკუმენტის/ხელშეკრულების დისტანციურად ელექტრონული ხელმოწერით გაფორმებისას არაავტორიზებული და უნებართვო წვდომით, არასწორი გამოყენებით ან/და ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესების დარღვევით.

9. მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა; ხელშეკრულებაზე უარის თქმა

9.1. გენერალური ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

9.2. ბანკის და მსესხებლის პასუხისმგებლობა ვალდებულებათა შესრულების ვადების გადაცილებისათვის განისაზღვრება ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით.

9.3. ბანკი უფლებამოსილია ვადაზე ადრე უარი თქვას წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებაზე ცალმხრივი ნების გამოვლინებით იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ასრულებს ამ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა, საბანკო გარანტია) ნაკისრ ვალდებულებებს.

9.4. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად მისი დებულებები მოქმედებს იმ კონკრეტული საბანკო საკრედიტო და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც ძალაში შევიდა წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ან შეწყვეტამდე.

10. ხელშეკრულების მოქმედება

10.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

10.2. ყველა კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულება და დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება ძალაში შესვლის დღიდან ხდება წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები.

10.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელიც წარმოადგენს ამ გენერალური ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებებს და დამატებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა დასარეგულირებლადაც შეტანილი არის ამგვარი ცვლილებები და დამატებები. ამასთან მსესხებელი იღებს ვალდებულებას, ამ მუხლის შესაბამისად განხორციელებული ცვლილების/დამატების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგნის მიმწოდებელ პირებს (მათ შორის თავდებ პირებს), რომლებიც არ წარმოადგენენ უშუალოდ მსესხებელს/მსესხებლებს. ამასთან, სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებისას, გარდა მსესხებელის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, მსესხებლის, ასევე ხელშეკრულების თავდების, უზრუნველყოფის მესაკუთრის ინფორმირება ბანკის მხრიდან მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა კომინუნიკაციის საშუალებით.

10.4. მიუხედავად 10.3 პუნქტში გათვალისწინებული შეზღუდვისა, მსესხებლისათვის 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე, ხოლო სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა

საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დადგომამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე (წინამდებარე ხელშეკრულების 13.10 და 13.11 პუნქტებით გათვალისწინებული წესით), ბანკი უფლებამოსილია ქვეყანაში ინფლაციის დონის ან/და სავალუტო რისკის გაზრდის ან/და სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორების ან/და ქვეყანაში სხვა ნეგატიური პროცესების გათვალისწინებით, ცალმხრივად შეიტანოს ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებები:

10.4.1. შეამციროს საბანკო პროდუქტის მოცულობა;

10.4.2. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები);

10.4.3. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული გადახდის ვადა/ვადები;

10.4.4. შეცვალოს გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის სხვა პირობები;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ეთანხმება 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბანკს და 1 (ერთი) თვის განმავლობაში, ხოლო სპეციფიკური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე 2 (ორი) თვის განმავლობაში, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დადგომამდე 1 (ერთი) თვის განმავლობაში ვადამდე დაფაროს მიღებული საბანკო პროდუქტი დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად. ამ შემთხვევაში მსესხებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო საბანკო პროდუქტის ვადამდე დაფარვისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი, არ ისარგებლებს წინამდებარე პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

10.6. **სპეციფიკური საფინანსო პროდუქტი** – კრედიტი, მათ შორის, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, რომლის მთლიანი თანხა ნაკლებია 1 000 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში, ასევე, დეპოზიტი, რომლის პირველადი შენატანი ნაკლებია 1 000 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში. ამასთან, მიუხედავად მოცულობისა, არ გაითვალისწინება იურიდიულ პირზე, ასევე, დაკავშირებულ საწარმოში შემავალ პირებზე გაცემული კრედიტი/დეპოზიტი, თუ ამ პირზე/პირებზე იმავე ბანკში უკვე გაცემული და აქტიური კრედიტების ან დეპოზიტების ჯამური მოცულობა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.

10.7. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, ბანკი განახორციელებს მსესხებლის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს ცვლილების შესახებ. მსესხებლის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ნებისმიერ ცვლილებას მსესხებელი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ბანკის მხრიდან, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ცვლილების, ოფიციალურად, წერილობით, დადასტურების შემთხვევაში. მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ინფორმაცია, მის სასარგებლოდ სახელშეკრულებო პირობების ცვლილებაზე.

11. დაზღვევა

11.1. მსესხებელი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისას დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის მსესხებლის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაზღვევა, კრედიტის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის დაზღვევა, კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა) ბანკის სასარგებლოდ, რა შემთხვევაშიც დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს ბანკი ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირი. ამასთან, დაზღვევა (ფრანშიზას გამოკლებით) სრულად უნდა ფარავდეს ბანკის ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირის მოთხოვნებს და დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს გენერალური ხელშეკრულების ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები;

11.2. მსესხებელმა დაზღვევა უნდა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით, რომლებიც წინასწარ გადაეცემა მას და ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს ისეთი სადაზღვევო პოლისი, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

11^1 მექრთამეობის, გადასახადებისგან თავის არიდების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

11^1.1 “მსესხებელი” აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

11¹.1.1 მსესხებელი მისი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მასთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მსესხებელს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევს მუდმივ კონტროლს.

11¹.1.2 „მსესხებელი", ასევე მასთან დაკავშირებული პირები: მისი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით ასევე, საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური.

11¹.1.3 მსესხებელი, მასთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით.

11¹.1.4 მსესხებელს ან მასთან დაკავშირებულ პირს ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, ან/და ანაზღაურება.

11¹.1.5 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, მსესხებელს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოება და დავა წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საერთო სასამართლოების მიერ ამ მუხლის შესაბამისად:

12.1.1. ბანკის მიერ გაგზავნილი გაფრთხილების წერილი ვალდებულების შესრულებისა და დამატებითი ვადის მიცემის შესახებ ჩაბარებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით;

12.1.2. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მათ შორის, საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკისათვის ცნობილ საკონტაქტო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება/გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად. ასევე, იქონიოს კომუნიკაციისთვის აუცილებელი მოწყობილობები და ქსელი (მათ შორის, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი) გამართულ/ჩართულ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შედეგებზე/ზიანზე;

12.2. ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

12.3. ბანკს უფლება აქვს მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე ან/და ასეთ დოკუმენტებთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძვლზე წარმოშობილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების გზით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მსესხებელი, თითოეული ასეთი მსესხებლისათვის გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საბანკო კრედიტის გაცემა ან/და დოკუმენტალური ოპერაციებით სარგებლობა შესაძლოა მოხდეს ინდივიდუალურად, ერთობლივად ან/და ცალკეული ჯგუფების მიხედვით. თითოეული ასეთი მსესხებელი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს გენერალური ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

13.2. საბანკო პროდუქტის რამდენიმე მსესხებელზე გაცემის შემთხვევაში, კრედიტის თანხა, ბანკის შერჩევით, ჩაირიცხება ერთ-ერთი მსესხებლის ანგარიშზე. ამ წესით გაცემული საბანკო პროდუქტი ჩაითვლება ყველა მსესხებლის მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ ბანკის წინაშე სოლიდარულ მოვალეებს, ამასთან სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევა მიჩნეულ იქნება ყველა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად, ყველა მსესხებელზე სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.

13.3. თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება გენერალური ხელშეკრულებით და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების მხარეს.

13.4. თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ გენერალური ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა.

13.5. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ გენერალური ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს გენერალური ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

13.6. ბანკის მიერ ერთ-ერთი მსესხებლისთვის გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ყველა მსესხებლისთვის გაგზავნილ შეტყობინებად, ხოლო ერთ–ერთი მსესხებლის მიერ შეტყობინების მიღება ყველა მსესხებლის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებად.

13.7. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

13.8. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას.

13.9. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე დადებულ კონკრეტულ ხელშეკრულებების დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში (შეუსაბამობა გულისხმობს ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებებს და არ გულისხმობს ერთმანეთის შემავსებელ დებულებებს) უპირატესობა მიენიჭება კონკრეტული ხელშეკრულებების დებულებებს.

13.10. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. წერილობით ფორმას უთანაბრდება ელექტრონული ფოსტით ან/და ინტერნეტბანკით გაგზავნილი შეტყობინება. ასევე, შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) და მობაილბანკით, ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება:

13.10.1. ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.) მიერ;

13.10.2. თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება სათანადო წესით გაგზავნილად და ადრესატის მიერ მიღებულად ჩაითვლება:

ა) კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, საფოსტო გზავნილის ჩაბარების ფორმაზე ფოსტის წარმომადგენლის მიერ ჩაბარებასთან/ჩაუბარებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის განხორციელების დღეს, ან ჩაბარების

ბანკი მსესხებელი

დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი), (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია მსესხებლის მიერ, ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს.

ბ) ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება შეტყობინების ფაქტობრივი გაცნობის დღეს ან თვის ბოლო კალენდარულ დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). მსესხებელი ვალდებულია, რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც გაეცნოს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით მიღებულ შეტყობინებებს.

გ) ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ, გაგზავნის თარიღიდან მე-2 სამუშაო დღეს, (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია მსესხებლის მიერ ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

13.11. თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის//სასამართლოს მიერ, იგი მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს არიდებს მის მიღებას.

13.12. მხარეები თანხმდებიან და მსესხებელი ითვალისწინებს, რომ წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების 13.10. პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალებებით ეცნობება ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის შესახებ, წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი სხვა შეთანხმებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების შესახებ, ასევე სესხის შესაძლო გასხვისების შესახებ - ასეთი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

13.13. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელს უფლება აქვს მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მსესხებელს შეუძლია მიმართოს კონტაქტ ცენტრს (ბანკის სატელეფონო სერვისცენტრი) (+995 322) 26 50 00. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის www.pashabank.ge) საშუალებით. მსესხებლის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, მსესხებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მსესხებელს ეცნობება დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (მსესხებელთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად) პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით. პრეტენზიასთან დაკავშირებით მსესხებელსა და ბანკს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: customercare@pashabank.ge.

13.14. წინამდებარე ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში მოცემულ ტერმინებს აქვს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობაც და პირიქით - მრავლობით რიცხვში მოცემულ ტერმინებს აქვს მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობაც, თუ შინაარსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

13.15. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას.

13.16. მსესხებელი ითვალისწინებს, რომ ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2, 0114).

13.17. წინამდებარე ხელშეკრულება და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები შედგება ქართულ ენაზე. თუ მეორე მხარემ არ იცის ქართული ენა, ხელშეკრულება შედგება მისთვის მისაღებ ენაზე. ამ ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

13.18. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება ბანკს.

13.19. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა.

14. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი მსესხებელი

ბანკი: მსესხებელი:

ბანკი მსესხებელი